

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს "სასტუმრო ძველი მეტეხი"ს

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბერს

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე გვ 3

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება გვ 4

სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება გვ 6

სპეციალური დანიშნულების საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება გვ 7


ახსნა განმარტებითი შენიშვნები გვ 15

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2019 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „სასტუმრო ძველი მეტეხის“ ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

გიორგი ოქრიაშვილი

დირექტორი -----  


ეკა ლაგურაშვილი

მთავარი ბუღალტერი -----  


შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის  
31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს სასტუმრო ძველი მეტეხი


ფინანსური მდგომარეობის უწყისი

|                                            |   | 12/31/2019       | 12/31/2018       | 1/1/2018         |
|--------------------------------------------|---|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                            |   |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>               |   |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                       | 6 | 2071610          | 2100418          | 2202239          |
| საინვესტიციო ქონება                        |   | -                | -                | -                |
| ბიოლოგიური აქტივი                          |   | -                | -                | -                |
| ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში           |   | -                | -                | -                |
|                                            |   | <b>2,071,610</b> | <b>2,100,418</b> | <b>2,202,239</b> |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>               |   |                  |                  |                  |
| ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები | 1 | 159,266          | 277,306          | 65,560           |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები    | 2 | 11,169           | 45,566           | 25,838           |
| მარაგები                                   | 4 | 10,060           | 21,079           | 7,211            |
| სხვა მიმდინარე აქტივები                    | 5 | 1,700            | 9,520            | 11,021           |
| მისაღები დივიდენდები და პროცენტები         |   | -                | -                | -                |
|                                            |   | <b>182,195</b>   | <b>353,471</b>   | <b>109,630</b>   |
| <b>მთლიანი აქტივები</b>                    |   | <b>2,253,805</b> | <b>2,453,889</b> | <b>2,311,869</b> |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                    |   |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                         |   | 1088152          | 1555152          | 1805152          |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)  |   | 1143651          | 887349           | 495456           |
| გადაფასების რეზერვი                        |   | -                | -                | -                |
|                                            |   | <b>2,231,803</b> | <b>2,442,501</b> | <b>2,300,608</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                       |   |                  |                  |                  |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>          |   |                  |                  |                  |
| გრძელვადიანი სესხები                       |   | -                | -                | -                |
| ანარიცხები                                 |   | -                | -                | -                |
| გადავადებული შემოსავალი                    |   | -                | -                | -                |
|                                            |   | -                | -                | -                |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>          |   |                  |                  |                  |
| მოკლევადიანი სესხები                       |   | -                | -                | -                |
| სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები | 7 | 22002            | 11388            | 11,261           |
| საგადასახადო ვალდებულებები                 |   | -                | -                | -                |
| გადასახდელი პროცენტი                       |   | -                | -                | -                |
| გადასახდელი დივიდენდი                      |   | -                | -                | -                |
|                                            |   | <b>22,002</b>    | <b>11,388</b>    | <b>11,261</b>    |

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის  
31 დეკემბრის მდგომარეობით


|                                  |           |           |           |
|----------------------------------|-----------|-----------|-----------|
| მთლიანი ვალდებულებები            | 22,002    | 11,388    | 11,261    |
| მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები | 2,253,805 | 2,453,889 | 2,311,869 |

გიორგი ოქრიაშვილი

დირექტორი 



ეკა ლაგურაშვილი

მთავარი ბუღალტერი 


შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| მოგება - ზარალის ანგარიშგება                    |   |                             |
|-------------------------------------------------|---|-----------------------------|
|                                                 |   | 12/31/2019      12/31/2018  |
| შემოსავალი სასტუმროს მომსახურების რეალიზაციიდან | 8 | 725,050      852,710        |
| თვითღირებულება                                  |   |                             |
| <b>საერთო მოგება</b>                            |   | <b>725,050      852,710</b> |
| სხვა შემოსავლები                                |   | -      -                    |
| ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი                  | 9 | (231,250)      (218,560)    |
| შრომის ანაზღაურების ხარჯი                       |   | (117,134)      (111,784)    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                            |   | (120,364)      (130,473)    |
| სხვა ხარჯები                                    |   | -      -                    |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                        |   | <b>256,302      391,893</b> |
| ფინანსური შემოსავალი                            |   | -      -                    |
| ფინანსური ხარჯი                                 |   | -      -                    |
| ფინანსური ხარჯი - წმინდა                        |   | -      -                    |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                       |   | <b>256,302      391,893</b> |
| მოგების გადასახადი                              |   | -      -                    |
| <b>წმინდა მოგება</b>                            |   | <b>256,302      391,893</b> |
|                                                 |   | -      -                    |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი</b>                 |   | <b>256,302      391,893</b> |

გიორგი ოქრიაშვილი

დირექტორი 


ეკა ლაგურაშვილი

მთავარი ბუღალტერი 


შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

|                               | საწესდებო<br>კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | გაუნაწილებელი<br>მოგება | მთლიანი<br>კაპიტალი |
|-------------------------------|-----------------------|------------------------|-------------------------|---------------------|
| <b>2018 წლის 1 იანვარი</b>    | <b>1,805,152</b>      | -                      | 495,456                 | <b>2,300,608</b>    |
| წმინდა მოგება                 | -                     | -                      | 391,893                 | <b>391,893</b>      |
| სხვა სრული შემოსავალი         | -                     | -                      | -                       | -                   |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                     | -                      | <b>391,893</b>          | <b>391,893</b>      |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა      | (250,000)             | -                      | -                       | <b>(250,000)</b>    |
| <b>2018 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>1,555,152</b>      | -                      | <b>887,349</b>          | <b>2,442,501</b>    |
| წმინდა მოგება                 | -                     | -                      | 256,302                 | <b>256,302</b>      |
| სხვა სრული შემოსავალი         | -                     | -                      | -                       | -                   |
| პერიოდის სრული შემოსავალი     | -                     | -                      | 256,302                 | <b>256,302</b>      |
| გაცემული დივიდენდი            | -                     | -                      | -                       | -                   |
| საწესდებო კაპიტალის ზრდა      | (467,000)             | -                      | -                       | <b>(467,000)</b>    |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> | <b>1,088,152</b>      | -                      | <b>1,143,651</b>        | <b>2,231,803</b>    |

გიორგი ოქრიაშვილი

დირექტორი 

ეკა ლაგურაშვილი

მთავარი ბუღალტერი 

### 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ დაფუძნებულია 2014 წლის 30 მაისს და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 405045696. კომპანიის 100 % მესაკუთრეა ფიზიკური პირი თემურ ოქრიაშვილი ( ს/კ 01101124026).

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“-ს იურიდიული მისამართია : საქართველო, ქ.თბილისი, ისნის რაიონი, მეტეხის აღმართი 3. კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის ძირითადი საქმიანობაა სასტუმროს მომსახურება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს პარტნიორთა კრების მიერ დანიშნული დირექტორი გიორგი ოქრიაშვილი (ს/კ 01511097883).

### 2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებასა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

### 3. წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი . ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                    | 31 დეკემბერი 2019 | 1 იანვარი 2019 |
|--------------------|-------------------|----------------|
| 1 აშშ დოლარი/ ლარი | 2.8677            | 2.6766         |
| 1 ევრო/ლარი        | 3.2095            | 3.0701         |

### ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

### 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

#### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანაგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

#### სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

## ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად. აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

| ჯგუფი<br>შენიშვნები       | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|---------------------------|-------------------------------------|
| მანქანა დანადგარები       | 20                                  |
| კომპიუტერული ტექნიკა      | 5                                   |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი   | 5                                   |
| სხვა ძირითადი საშუალებები | 4                                   |

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდისმოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაღიწოს ამონაგების კლასიფიკაცია.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება წელიწადში ორჯერ.

### **სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში

### **მოგების გადასახადი**

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

### **სასაქონლო მატერიალური ფასეულობები**

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად. მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ. მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები. კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა. კომპანია საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მარაგებს იძენდა სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის. ამ ტიპის მარაგების გახარჯვა საბოლოოდ აისახებოდა აშენებული ფართების თვითღირებულებაში. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს სასტუმროს მინი ბარისათვის საჭირო პროდუქტები და სასმელები. ამ ტიპის მასალები ჩამოიწერება რეალიზაციის დროს და თვითღირებულების ნაწილს შეადგენს.

### **მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან**

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### **შემოსავლები და ხარჯების აღრიცხვის პრონციპები**

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა;

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით;

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

### **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება**

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენს სასტუმროს მომსახურებაზე გახარჯულ, პირდაპირ მიკუთვნებული მასალების და ნედლეულის ხარჯებს, აგრეთვე შრომის ანაზღაურებას და სხვა ტიპის ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული სასტუმროს მომსახურების განხორციელებასთან. მასალები და ნედლეული თვითღირებულებაში აისახება გამოყენებისთანავე, ხოლო სხვა ტიპის ხარჯები, ხარჯების გაწევის პერიოდის შესაბამისად.

### **საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

### **კაპიტალი**

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან დივიდენდის გატანაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე წარმოდგენილი უნდა იყოს ბალანსის შემდგომი მოვლენების ამსახველ მუხლში.

**აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლედ აგრძელებადიან აქტივებად.**

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა; მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც: მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა; დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## 5 ახსნა განმარტებითი შენიშვნები

### შენიშვნა 1

| დასახელება             | 2019   | 2018    | 2017   |
|------------------------|--------|---------|--------|
| ფული სალაროში          | 951    | 9823    | 9427   |
| ფულადი სახსრები ბანკში | 158315 | 267 482 | 56 133 |
|                        |        |         |        |

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს სს. ლიბერთი ბანკში და სს საქართველოს ბანკში, აღნიშნული ანგარიშებით ახორციელებს საბანკო ოპერაციებს.

### შენიშვნა 2

| დასახელება         | 2019 წ | 2018 წ | 2017 წ |
|--------------------|--------|--------|--------|
| სავაჭრო მოთხოვნები | 9027   | 43 546 | 25 838 |

კომპანიას ძირითადი დებიტორები ჰყავს სასტუმროს რეალიზაციიდან.

### შენიშვნა 3

| დასახელება         | 2019 წ | 2018 წ | 2017 წ |
|--------------------|--------|--------|--------|
| გადახდილი ავანსები | 2142   | 2020   |        |
|                    |        |        |        |

### შენიშვნა 4

| დასახელება | 2019 წ | 2018 წ | 2017 წ |
|------------|--------|--------|--------|
| მარაგები   | 10060  | 21079  | 7211   |

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მარაგებში კომპანია აღრიცხავს ნედლეულსა და მარაგების ნაშთებს რომელიც განკუთვნილია სასტუმროში დილის საუზმისთვის.

#### შენიშვნა 5

| დასახელება              | 2019 წ | 2018 წ | 2017 წ |
|-------------------------|--------|--------|--------|
| სხვა მიმდინარე აქტივები | 1700   | 9 520  | 11 021 |

კომპანიას საგადასახადო ბარათზე ერიცხება ზედმეტობა.

#### შენიშვნა 6

##### ძირითადი საშუალებები

კომპანიას ბალანსზე აქვს ძირითადი საშუალებები, კერძოდ სასტუმროს შენობა ნაგებობა და ავეჯი და სხვა ინვენტარი.

#### შენიშვნა 7

| დასახელება            | 2019 წ | 2018 წ | 2017 წ |
|-----------------------|--------|--------|--------|
| სავაჭრო ვალდებულებები | 22002  | 11 388 | 11 261 |

კომპანიას ძირითადად უფიქსირდება სავაჭრო ვალდებულებები სასტუმროსთან დაკავშირებულ მომსახურებებზე.

#### შენიშვნა 8

| დასახელება                                      | 2019 წ | 2018 წ |
|-------------------------------------------------|--------|--------|
| შემოსავალი სასტუმროს მომსახურების რეალიზაციიდან | 725050 | 852710 |
|                                                 |        |        |

კომპანიას ძირითადი შემოსავალი უფიქსირდება სასტუმროს ნომრების რეალიზაციიდან.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## შენიშვნა 9

| დასახელება                               | 2019 წ |
|------------------------------------------|--------|
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი |        |
| ბუქინგ კომის ხარჯი                       | 49285  |
| ქონების გადასახადი                       | 23453  |
| დაცვის მომსახურების ხარჯი                | 932    |
| სამრეცხაოს ხარჯი                         | 12748  |
| იურიდიული მომსახურება                    | 8400   |
| შვედურის ხარჯი                           | 58996  |
| ქიმიური საშუალებების ხარჯი               | 6810   |
| სამეურნეო ხარჯი                          | 10808  |
| მინი ბარის ხარჯი                         | 1794   |
| კომუნალური ხარჯი                         | 31406  |
| კომუნიკაციის ხარჯი                       | 7230   |
| ბანკის საკომისიო ხარჯი                   | 11265  |
| დაზღვევის ხარჯი                          | 6522   |
| საავტორო ჰონორარი                        | 960    |
| სხვა                                     | 641    |

## 6. შემოსავლები

კომპანიის შემოსავლები შედგება სტუმრების მომსახურებიდან მიღებული შემოსავლებისაგან. მათ შორის მოიცავს ბარიდან მიღებულ შემოსავლებს.

წარმოშობილი ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება მომსახურების მიღების დასრულებისთანავე ან მოკლევადიან პერიოდში.

## 7. ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურების ხარჯებს, , საკანცელარიო ხარჯებს, ცვეთის ხარჯს, საბანკო ხარჯებს და ა.შ.

## 8. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვალებადობასთან.

ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

### **გადასახადები**

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონე ერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

### **გარემოს დაცვა**

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევა, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია.

კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე

### **სასამართლო დავები**

2019 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

### **9. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს ადგილი არ ჰქონია.

შპს „სასტუმრო ძველი მეტეხი“ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის  
31 დეკემბრის მდგომარეობით

გიორგი ოქრიაშვილი

დირექტორი -----  




ეკა ლაგურაშვილი

მთავარი ბუღალტერი -----  
